ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №6

ქალაქი ქუთაისი
22 ოქტომბერი, 2018 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
4. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
5. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
6. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
7. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
8. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
9. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
10. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
11. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
12. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 20 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 12, 8 არ ესწრებოდა, სხვადასხვა მიზეზის გამო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არაგადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მასში სიითი შემადგენლობის 2/3 მეტი წევრი არ მონაწილეობდა. შესაბამისად საბჭოს სხდომამ, საინფორმაციო შეხვედრის სახე მიიღო.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ სამოქალაქო ინიციატივების ავტორები, რომბლებმაც იდეები https://volis.ega.ee/gvolis/osale/index?kid=13666 საიტზე შემოიტანეს. სულ შემოვიდა 26 ინიციატივა.

მოწვეული იყო 24 იდეის ავტორი.

გამოცხადდა 13: თამარ ხაჭაპურიძე, ევგენი ლორთქიფანიძე, ქრისტინე გრიგოლია, გიორგი კირვალიძე, გია ხუჯაძე, ეკატერინე მარუქაშვილი, ბაია კოღუაშვილი, გიორგი დვალიშვილი, მაია ყუფარაძე, გურამ გოცირიძე, დეა მანაგაძე, ნინო ჩიხლაძე, ნანა აფრიდონიძე.
არ გამოცხადდა 11: გულნარა ნიკოლაძე, შორენა ბუღაძე, ნინო მინდიაშვილი, გიორგი კიკვაძე, რუსუდან ჯიბლაძე, ირაკლი ფაჩულია, ირაკლი ოდიშარია, ნინო გიორგაძე, ირაკლი გოგლიჩიძე, თეკლა ბაჯაძე, ეკატერინე ლოსაბერიძე.

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. განცხადება საქართველოს პარლამენტის თბილისში გადატანის თაობაზე განხილვა - ინიციატორი ნუგზარ კოხრეიძე.
4. ქალაქ ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტის განხილვა: მომხსენებებელი: დგინდება.
5. მოქალაქეთა ინიციატივების მოსმენა-განხილვა. სულ განხილული იქნება 26 სამოქალაქო ინიციატივა.
6. სხვადასხვა.
7. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

ვინაიდან ქვორუმი არ შედგა საბჭოს წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს განეხილათ ის საკითხები, რომლებიც არ საჭიროებდნენ კენჭისყრას. შესაბამისად სხდომა საინფორმაციო შეხვედრის ფორმატში წარიმართა.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) მან გახსნა სხდომა და წარადგინა დღის წესრიგი. ისაუბრა დებულებაში ქვროუმთან დაკავშირებულ აუცილებელ განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. 2/3 -ის, უბრალო უმრავლესობით შეცვლის თაობაზე. ასევე დაინტერესდა მოახდინა თუ არა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისი წარმომადგენლის ჩანაცვლება.

- **განცხადება საქართველოს პარლამენტის თბილისში გადატანის თაობაზე განხილვა - ინიციატორი ნუგზარ კოხრეიძე.**

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი). ისაუბრა ტექნიკურ საკითხებზე. მადლობა გადაუხადა ყველა მოსულ სტუმარს. მადლობა გადაუხადა მედიას მაღალი ინტერესისთვის და საბჭოს მუშაობის გაშუქებისთვის. განუმარტა იდეების ავტორებს, რომ ინიციატივის წარმოდგენისთვის 5 წუთი აქვთ დრო, ისინი ვინც არ იმყოფებიან შეხვედრაზე მათი ინიციტივები დაუსწრებლად განიხილება. ინიციატივების განხილვის შემდეგ ყველა წევრს დაეგზავნება სპეციალური შეფასების ფორმა, რომელშიც ისინი მოახდენენ ინიციატივის შეფასებას. მან წარადგინა "დატოვე პარლამენტი ქუთაისში" კამპანიის საინიციატივო ჯგუფი და მათი მოთხოვნა. გარდა ამისა, ხაზი გაუსვა, რომ დღემდე არ დაუფიქსირებია ქუთაისის ქალაქის მერს მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქეთი ბერძენიშვილი (საბჭოს წევრი) - აღნიშნა ის დადებითი მხარეები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ქუთაისში პარლამენტის სრულყოფილ ფუნქციონირებას. მან ასევე მოუწოდა ქალაქის მერს დააფიქსიროს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხვიჩა ვაშაყმაძე (საბჭოს წევრი) - მიმართა საზოგადოებას, რომ პარლამენტის ფუქნციონირება ქუთაისში, მისი განვითარებისთვის აუცილებელია და ჩაერთონ აღნიშნულ კამპანიაში.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - ისაუბრა საიას მიერ 2012 წელს განხორციელებულ ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამეტის მშენებლობის მონიტორინგის კვლევასთან დაკავშირებით. ასევე გაამახვილა ყურადღება, რომ ქუთაისის თვითმმართველობის ხელმღვანელებმა უნდა დააფიქსირონ მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე ნაჩვენები იყო "დატოვე პარლამენტი ქუთაისში" კამპანიის ფარგლებში გადაღებული სოციალური კლიპი, რომელიც ეკა ფხაკაძისა და გიორგი დვალიშვილის მიერ მომზადდა. კლიპი ასახავს საზოგადოების სხვადასხვა აქტიური წევრების პოზიციას პარლამენტის ქუთაისში ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

ამავე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, ნინო ხუხუა, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი.

დადგინდა: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ საჯაროდ დააფიქსიროს მისი პოზიცია პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს დამსწრე ყველა წევრი მხარს უჭერს პარლამენტის ქუთაისში დატოვებას და წინააღმდეგია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებებისა.

- **ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტის განხილვა.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული ეს საკითხი არ იქნა განხილული საბჭოზე ქვორუმის არ არსებობის გამო. მისი განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისთვის. საბჭოს 20 წევრიდან, სხდომას ესწრებოდა 12, ქვორუმისთვის საჭირო იყო 14 წევრის დასწრება.

- **მოქალაქეთა ინიციატივების მოსმენა-განხილვა.**

მოწვეული 24 ინიციატივის ავტორთაგან მოვიდა 13 და საბჭომ ყველა მათგანს მოუსმინა. იდეის ავტორებმა წარადგინეს მათი ინიციატივები და ისაუბრეს მათ მნიშვნელობაზე.
საბჭოს წევრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს თ.ხ.-ს მოუსმინეს მერიის შემოსასვლელში, რადგან შენობა არ არის ადაპტირებული და ინიციატივის ავტორმა ვერ შეძლო სხდომათა დარბაზში ამოსვლა.

მოსმენის შემდეგ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და განიხილეს ასევე 11 პირის ინიციატივა, რომლებიც არ გამოცხადნენ სხდომაზე.

აზრი გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ქეთი ბერძენიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, ზურაბ ხურციძე.

დადგინდა: 5 ნოემბრამდე, საბჭოს ყველა წევრი, ონლაინ რეჟიმში აფასებს ყველა ინიციატივას შემდეგი კრიტერიუმით: თვითმმართველობის კომპეტენცია; საკითხის აქტუალობა; მდგრადობა/განვითარება. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 1 დან 5 ქულამდე, სადაც 1 ყველაზე დაბალი, ხოლო 5 ყველაზე მაღალი შეფასებაა.

საბჭოს მიერ შერჩეული სამი საუკეთესო ინიციატივა გაეგზავნება ქალაქის მერს რეკომენდაციის სახით, რათა გათვალისწინებული იყოს 2019 წლის ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობის ბიუჯეტში.

- სხვადასხვა.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - ისაუბრა სკოლებთან შექმნილი საცობების თაობაზე და იმ პრობლემებზე, რომელსაც ისინი ქმნიან. წამოაყენა მათი დარეგულირების საკითხი. ისაუბრა მერიის შენობის სრულად ადაპტირების საკითხებზე, რათა მოიხსნას ისეთი ბარიერები რაც მოქალაქეს შეექმნა საბჭოზე დასწრების კუთხით.

ქეთი ბერძენიშვილი (საბჭოს წევრი) - დასვა კითხვა იმ რეკომენდაციების აღსრულების თაობაზე, რომელზედაც მერიის წარმომადგენლები მოგვარებას დაპირდნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით უცნობია რა განახორციელეს. თუ მერია არ ითვალისწინებს საბჭოს რეკომენდაციას ის ვერ ხედავს ამ საბჭოში ყოფნის აზრს. გარდა ამისა მან მერის, საბჭოს სხდომებზე დასწრების საკითხი დასვა და იკითხა: ეს მერის მრჩეველთა საბჭოა თუ მერის მოადგილესთან არსებული საბჭო?

თამარ ხეცურიანი (საბჭოს წევრი) - დაინტერესდა ბოტანიკურ ბაღთან მომრავლებული ნარჩენების საკითხის მიმართ რა რეაგირება მოხდა და ამ საკითხის კვლავინდებურად წამოწევის თაობაზე.

მამუკა თევდორაძე (საბჭოს წევრი) - აუცილებელია საბჭოს სხდომებს მერიის სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რადგან დიდი ნაწილი საკითხებისა, რომელსაც საბჭო განიხილავს, მათ ეხება.

მეგი ნიჟარაძე (საბჭოს წევრი) - აღნიშნა კარგი განათლების კერების სიმცირე და აუცილებლობა, რომ მოხდეს მაღალი დონის პროფესიული საგანმანათლებლო კერების შექმნის ხელშეწყობა.

დადგინდა: საბჭოს მომდევნო სხდომა გაიმართოს 29 ნოემბერს, 14:00 საათზე, მერის სხდომათა დარბაზში. ასევე დადგეს დღის წერიგში საკითხი თუ რა რეაგირება მოჰყვა მერიის მხრიდან საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჯიქია ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე